# როგორ ხარჯავს სახელმწიფო ჩვენს ფულს

## სახელმწიფო შესყიდვები 2015-2017 წლებში



საერთაშორისო გამჭვირვალობა–საქართველო
TRANSPARENCY INTERNATIONAL GEORGIA

**კვლევის ავტორები:** გიორგი ნასრაშვილი, ლაშა სენაშვილი, მიხეილ კუკავა,
**კვლევის ხელმძღვანელი:** ლევან ნატროშვილი

Sweden
Sverige

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ სახელმწიფო შესყიდვების მონიტორინგის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მომზადდა წინამდებარე ანგარიში, ხორციელდება შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (Sida) ფინანსური მხარდაჭერით.

# სარჩევი


**I. შემაჯამებელი მიმოხილვა** 4

**II. შესავალი** 7

**III. სამართლებრივი ბაზის ანალიზი** 8

1. გამარტივებული შესყიდვის წინასწარი შეთანხმება 8

1.1. რეკომენდაციები 9

2. ახალი ტიპის ორეტაპინი ელექტრონული ტენდერები 9

2.1. რეკომენდაციები 11

3. გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გაუქმება 12

**IV. გამარტივებული შესყიდვები** 13

1. ყველაზე მსხვილი შემსყიდველი ორგანიზაციები 15

2. ყველაზე მსხვილი მიმწოდებლები 16

3. სსიპ-ების მონაწილეობა გამარტივებულ შესყიდვებში 17

4. სახელმწიფო საწარმოების მონაწილეობა გამარტივებულ შესყიდვებში 19

5. ახლადდაფუძნებული კომპანიების მონაწილეობა გამარტივებულ შესყიდვებში 22

6. პოლიტიკური პარტიების შემომწირველთა მონაწილეობა გამარტივებულ სახელმწიფო შესყიდვებში 25

7. შემსყიდველები გამარტივებული შესყიდვის დიდი წილით 30

8. დაფარული გამარტივებული შესყიდვები 33

**V. ტენდერები** 36

1. ყველაზე მსხვილი შემსყიდველი ორგანიზაციები 36

2. ყველაზე მსხვილი მიმწოდებლები 38

3. კონკურენცია ტენდერებში 39

4. უცხოური კომპანიების მონაწილეობა ტენდერებში 42

5. ახლადდაფუძნებული კომპანიების მონაწილეობა ტენდერებში 46

6. პოლიტიკური პარტიების შემომწირველთა მონაწილეობა გამარტივებულ სახელმწიფო შესყიდვებში 48

7. წარუმატებელი ტენდერები 54

**VI. დასკვნა და რეკომენდაციები** 58

# I. შემაჯამებელი მიმოხილვა

2015 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 30 ივნისამდე განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესწავლამ შემდეგი ძირითადი ტენდენციები გამოავლინა:

**სამართლებრივი ბაზა**

- სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობაში ბევრი პროგრესული ცვლილება შევიდა, რასაც შეუძლია სისტემაში არსებული მნიშვნელოვანი პრობლემები მოაგვაროს. მათ შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი სამი ცვლილება:
  * შემყიდველ ორგანიზაციებს გამარტივებული შესყიდვის განხორციელებამდე შესყიდვების სააგენტოსთან წინასწარი შეთანხმების ვალდებულება გაუჩნდათ;
  * შემოღებულ იქნა ახალი ტიპის ორეტაპიანი ტენდერები;
  * გაუქმდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერები და მხოლოდ ჩვეულებრივი ელექტრონული ტენდერი დარჩა.

**გამარტივებული შესყიდვები**

- საანგარიშო 2.5 წლის განმავლობაში გამარტივებული გზით დადებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულებამ 2.86 მლრდ ლარი შეადგინა, რაც მთლიანი შესყიდვების 32%-ია. თუმცა, კონკრეტულად 2016 წელს ეს მაჩვენებელი 37%-ი იყო, რაც წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვან გაუარესებას ნიშნავს;
- გამარტივებული შესყიდვის გზით ყველაზე მსხვილი კონტრაქტები „გარდაბნის თბოსადგური 2"-მა (მთლიანობაში დაახლოებით 376 მლნ ლარი), „ჯორჯიან ტრანზიტი"-მა (245 მლნ ლარი) და თბილისის მერიამ (145 მლნ) დადეს;
- გამარტივებული შესყიდვებში 10 ყველაზე მსხვილი მიმწოდებლის მიერ დადებული ხელშეკრულებების ჯამურმა ოდენობამ 1.1 მილიარდი ლარი შეადგინა. ყველაზე მსხვილი მიმწოდებელი კი China Tianchen Engineering Corpoeration იყო, რომელსაც „გარდაბნის თბოსადგურ 2"-თან 376 მლნ ლარის ღირებულების მხოლოდ 1 ხელშეკრულება აქვს გაფორმებული;
- გამარტივებულ შესყიდვებში 10 ყველაზე მსხვილი შესყიდვის კატეგორიის ღირებულებამ 1.77 მილიარდი ლარი შეადგინა. ყველაზე მეტი ოდენობის თანხა *მთლიან ან ნაწილობრივ სამშენებლო სამუშაოებსა* და *სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოებზე* მოდის;
- შემსყიდველებმა 93.6 მლნ ლარის ღირებულების 6,772 გამარტივებული ხელშეკრულება დადეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან;
- 43 სახელმწიფო საწარმოსთან გამარტივებული გზით 57 მლნ ლარის ღირებულების 3,949 ხელშეკრულება დაიდო;
- ახალ დაფუძნებულ კომპანიებთან 95 მლნ ლარის ღირებულების 25,625 ხელშეკრულება დაიდო, მათ შორის, ვხვდებით ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ხელშეკრულების ღირებულება მილიონ ლარს აღემატება;

- 345 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულება დაიდო ისეთ გარემოებებში, როდესაც ხელშეკრულების გაფორმება წინ უსწრებდა კომპანიის რეგისტრაციას ან კომპანია ხელშეკრულების გაფორმებამდე რამდენიმე დღით ადრე იყო დაფუძნებული;

- ანგარიშში ამ კუთხით წარმოდგენილი პრობლემური შემთხვევები კითხვებს ბადებს შესაძლო კორუფციულ გარიგებებთან დაკავშირებით და საჭიროებს კომპეტენტური ორგანოების - შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაციების, აუდიტის სამსახურის თუ საგამოძიებო ორგანოების დაინტერესებას;

- გამარტივებულ შესყიდვებში მიმწოდებელ 150-მდე კომპანიასთან დაკავშირებულმა 140-მდე პირმა (ყოფილი ან მოქმედი მეწილე ან დირექტორი) მმართველ პარტიას 6 მლნ ლარამდე შესწირა. მათი კომპანიების მიერ მიღებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულებამ დაახლოებით 75 მლნ ლარი შეადგინა;

- გამარტივებული შესყიდვებისა და ტენდერებით დახარჯული თანხის თანაფარდობის მიხედვით აღმოჩნდა 20 ისეთი შემსყიდველი, რომლებმაც 500 ათას ლარზე მეტი დახარჯეს ტენდერების გზით, თუმცა მათ მიერ მთლიანად განხორციელებულ შესყიდვის ჯამურ ღირებულებაში გამარტივებული შესყიდვის ღირებულება 70 პროცენტზე მაღალია;

- სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში რეგისტრირებულ 2,400-ზე მეტ ორგანიზაციას საკვლევ პერიოდში არცერთი ხელშეკრულება არ გაუფორმებია ტენდერის გზით და მხოლოდ გამარტივებული შესყიდვებით სარგებლობდნენ. ასევე, შესყიდვების სააგენტოს პორტალის მიხედვით, 50-ზე მეტ შემსყიდველს გამარტივებული შესყიდვებით საერთოდ არ უსარგებლია, რაც პრაქტიკულად წარმოუდგენელია. მათ მიერ განხორციელებული შესყიდვებიდან ტენდერები იძებნება, გამარტივებული გზით დადებული ხელშეკრულებები კი არა; „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" უკვე წლებია ამ პრობლემაზე საუბრობს, მათ შორის, ამის შესახებ შესყიდვების სააგენტოს არაერთხელ ეცნობა. მიუხედავად ამისა, პრობლემა კვლავ არ გადაიჭრა, რაც გვაფიქრებინებს, რომ ინფორმაციის შეგნებულ დაფარვას აქვს ადგილი.

**ტენდერები**

- საანგარიშო პერიოდში ტენდერის გზით 6.1 მლრდ ლარის ღირებულების 66,639 ხელშეკრულება დაიდო;
  - ამ პერიოდში ყველაზე მსხვილმა 31-მა კომპანიამ 1.36 მლრდ ლარის ღირებულების 1,629 ხელშეკრულება გააფორმა;
  - ყველაზე მეტი ღირებულების მქონე ხელშეკრულება „ბლექს სი გრუპმა" მიიღო. საკვლევ პერიოდში კომპანიამ დაახლოებით 89 მლნ ლარის ღირებულების 19 ხელშეკრულება გააფორმა, ყველაზე მსხვილი ღირებულების მქონე ტენდერებში მეორე ადგილს „საბა კონსტრაქშენი" იკავებს, რომელმაც 83 მლნ ლარის ღირებულების 20 ხელშეკრულება გააფორმა.

- 22-მა მსხვილმა შემსყიდველმა (50 მლნ ლარზე მეტი ღირებულების შესყიდვის განმახორციელებელი), საერთო ჯამში დაახლოებით 3.1 მილიარდი ლარის ღირებულების მომსახურება შეისყიდა ტენდერის საშუალებით;

- ტენდერებში 15 ყველაზე მსხვილი შესყიდვის კატეგორიამ 4.67 მილიარდი ლარი შეადგინა,

რომლებზეც 29,334 ხელშეკრულება გაფორმდა. ყველაზე მეტი ოდენობის თანხა *მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოებსა* და *სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოებზე* მოდის;

- ტენდერებში კონკურენცია დაახლოებით 10%-ით გაიზარდა - 2015 წელს ტენდერში მონაწილეთა საშუალო მაჩვენებელი 2.03-ს შეადგენდა, 2017 წლის 6 თვის მდგომარეობით ის 2.22-მდეა გაზრდილი. თუმცა, მთელი რიგი შემსყიდველების (როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ დონეზე) შემთხვევაში ტენდერებში დაბალი კონკურენცია კვლავ თვალსაჩინოა. მაგალითად, თიანეთის ბაგა-ბაღების გაერთიანების მიერ გამოცხადებულ ყველა ტენდერს, ასევე თელავის მუნიციპალიტეტის ტენდერების 66%-ს მხოლოდ ერთი მონაწილე ჰყავდა;

- 82 უცხოურ კომპანიასთან ტენდერების გზით სულ 247.4 მლნ ლარის ღირებულების 175 ხელშეკრულება გაფორმდა (ტენდერების ჯამური ღირებულების 4%);

  - ყველაზე მაღალი ღირებულების მქონე ტენდერები თურქეთში რეგისტრირებულ კომპანიებზე მოდის, რიგით მეორე კი აზერბაიჯანია. უცხოური კომპანიებისგან შესყიდვის ყველაზე მსხვილი კატეგორია ფარმაცევტული პროდუქტებია.

- ტენდერების გზით 1,849 ახალ დაფუძნებულ კომპანიასთან 200.3 მლნ ლარის ღირებულების 6,946 ხელშეკრულება დაიდო (ტენდერების გზით დადებული ხელშეკრულებების რაოდენობის 10%). მაგალითად, რუსთავის მუნიციპალიტეტის 735 ათასი ლარის ღირებულების ტენდერში გაიმარჯვა კომპანიამ, რომელიც ტენდერის გამოცხადებიდან 20 დღის შემდეგ დაფუძნდა.

- ტენდერებში გამარჯვებულ 80-მდე კომპანიასთან დაკავშირებულმა (მოქმედი ან ყოფილი მეწილე ან დირექტორი) 90-მდე პირმა მმართველ პარტიას დაახლოებით 3.6 მლნ ლარი შესწირა. მათი კომპანიების მიერ ტენდერების გზით დადებული ხელშეკრულებების რაოდენობა დაახლოებით 1,600-ია, რომელთა საერთო ღირებულება 360 მლნ ლარს აღემატება.

- გამოცხადებული ტენდერების 71 %-ში ხელშეკრულება დაიდო. 29 %-ის შემთხვევაში კი ტენდერი არ შედგა;

  - განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ ის შემსყიდველები, რომელთა მიერ გამოცხადებული ტენდერების ჩავარდნის[1] მაჩვენებელი ძალიან მაღალია და 60-დან 100%-ს შორის მერყეობს.

- ტენდერის გზით დადებული ხელშეკრულებებიდან 1,136 არ შესრულდა, რომელთა საერთო ღირებულებამ 66 მლნ ლარი შეადგინა (მთლიანი ტენდერების 1%).

1 ტენდერის შეწყვეტის, არშედგომის ან უარყოფითი შედეგით დასრულების

# II. შესავალი

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ რეგულარულად აქვეყნებს ანგარიშებს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. ბოლო ყოვლისმომცველი კვლევა 2015 წელს გამოქვეყნდა, რომელიც 2013-14 წლების საკითხებს მოიცავდა.[2]

ამჯერად გთავაზობთ 2015 წლიდან 2017 წლის 6 თვის ჩათვლით საქართველოს სახელმწიფო შესყიდვებში მიმდინარე ტენდენციების ანალიზს. ანგარიში ძირითადად ეფუძნება სახელმწიფო შესყიდვების პორტალიდან ჩვენი ვებგვერდის tendermonitor.ge-ის მეშვეობით აღებულ ინფორმაციას. თუმცა, სამწუხაროა, რომ შესყიდვების სააგენტო კვლავ უარს ამბობს ჩვენთან თანამშრომლობაზე მონაცემების უფრო მოსახერხებელი ფორმატით მოწოდების კუთხით.

კვლევის პირველ ნაწილში გაანალიზებულია საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების რეგულირების კუთხით ბოლო წლებში განხორციელდა; მომდევნო თავებში კი მოცემულია გამარტივებული შესყიდვების და ელექტრონული ტენდერებისას გამოვლენილი საინტერესო მიგნებები და საეჭვო შემთხვევები. ანგარიშის ბოლოს შეჯამებულია ძირითადი მიგნებები და წარმოდგენილია სამართლებრივი დონეზე და პრაქტიკაში არსებული პრობლემების გადასაჭრელად საჭირო რეკომენდაციები.

2 *სახელმწიფო შესყიდვები 2013-2014 წლებში: როგორ და რაში იხარჯება ბიუჯეტი*, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 2015 წლის ივლისი: https://goo.gl/CKHcYE

# III. სამართლებრივი ბაზის ანალიზი

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ჩვენს წინა ანგარიშში მოცემული იყო 2014 წლისთვის სახელმწიფო შესყიდვების რეგულირების კუთხით არსებული ძირითადი ხარვეზები და გამოწვევები.[3] წინამდებარე თავში გაანალიზებულია ის ძირითადი ცვლილებები რაც 2015-2017 წლებში განხორციელდა, ასევე, შეფასებულია ამ ცვლილების გავლენა არსებულ პრობლემებზე და აღწერილია დარჩენილი გამოწვევები.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობაში ბევრი პროგრესული ცვლილება შევიდა, რასაც შეუძლია სისტემაში არსებული მნიშვნელოვანი პრობლემები მოაგვაროს, მათ შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავ სამ ცვლილებას დეტალურად მიმოვიხილავთ:

- შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ გამარტივებული შესყიდვის წინასწარი შეთანხმების ვალდებულების შემოღება;
- ახალი ტიპის ორეტაპიანი ტენდერების შემოღება;
- გამარტივებული ელექტრონული ტენდერების გაუქმება.

## 1. გამარტივებული შესყიდვის წინასწარი შეთანხმება

გამარტივებული შესყიდვა გამოიყენება 5 000 ლარამდე ღირებულების საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს შესყიდვისას, ან მაშინ, როდესაც ეს მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიური უფლებაა[4] და არ არსებობს მიზანშეწონილი ალტერნატივა.

გამარტივებული შესყიდვები წლების მანძილზე საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების ყველაზე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა, ვინაიდან საბიუჯეტო მხარჯავი დაწესებულებები გადაუდებელი აუცილებლობის საბაბით ან სახელმწიფოებრივი / საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, რაც საქართველოს მთავრობის ან ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სამართლებრივი აქტით უნდა ყოფილიყო ნებადართული, ატარებდნენ გამარტივებულ შესყიდვებს ისე, რომ დასაბუთების არანაირი ვალდებულება არ ჰქონდათ. მთავრობები კი თავისი განკარგულებებით რუტინულად აძლევდნენ შესყიდვის უფლებას მაშინ როდესაც გამარტივებული შესყიდვის არანაირი აუცილებლობა არ არსებობდა.

2015 წლის 1 ნოემბრიდან ამოქმედდა ახალი რეგულაცია, რაც ითვალისწინებს გამარტივებული შესყიდვის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან შეთანხმებას, რაც მოიცავს შესყიდვის აუცილებლობის დასაბუთებას.

გამარტივებული შესყიდვის შეთანხმების წესთან ერთად შემუშავებულია გამარტივებული შესყიდვის განსახორციელებლად შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვის დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი, რაც მოიცავს გადაუდებელი აუცილებლობის ნაწილსაც.

---

3 *სახელმწიფო შესყიდვები 2013-2014 წლებში: როგორ და რაში იხარჯება ბიუჯეტი,* „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო", 2015 წლის ივლისი: https://goo.gl/CKHcYE

4 ექსკლუზიურ უფლებად არ განიხილება შემთხვევა, როდესაც: **ა.** შესასყიდი საქონლის, მომსახურების, სამუშაოს სავარაუდო ღირებულება აღემატება 2 000 000 ლარს და ქვეყნის გარეთ, გონივრულ ტერიტორიულ ფარგლებში, არსებობს სხვა პირი, რომელსაც შეუძლია განახორციელოს იმავე მომსახურების გაწევა; **ბ.** შესასყიდი საქონლის, მომსახურების, სამუშაოს სავარაუდო ღირებულება არ აღემატება 2 000 000 ლარს და ქვეყნის შიგნით არსებობს სხვა პირი, რომელსაც შეუძლია განახორციელოს იმავე მომსახურების გაწევა

იმ შემთხვევაში, როცა შეუძლებელია წინასწარი შეთანხმება, შემსყიდველი პოსტ ფაქტუმ პასუხობს კითხვებს, ანუ მას შემდეგ რაც განახორციელებს შესყიდვას.

## 1.1. რეკომენდაციები

- გამარტივებული შესყიდვის უფლების ბოროტად გამოყენების პრევენციისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობაში ფორს-მაჟორის ცნების შემოტანა, რაც აღმოსავლეთ ევროპის საუკეთესო პრაქტიკის შესწავლის შედეგად, მიგვაჩნია, რომ უნდა განიმარტოს როგორც  ვითარება, რომლის დროსაც საომარი ან საგანგებო მდგომარეობის, გაფიცვის, საბოტაჟის, საწარმოო არეულობის, სამოქალაქო მღელვარების, ბლოკადის, აჯანყების,  ეკოლოგიური კატასტროფის, სტიქიური უბედურების, ეპიდემიის, ეპიზოოტიის საშიშროების ან სხვა ფორს-მაჟორული ძალის მოქმედების გამო საფრთხე ექმნება ადამიანთა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, საზოგადოებრივ სიკეთეს, სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უსაფრთხოებას.
- აუცილებელია, რეგულაცია ითვალისწინებდეს სანქციებს იმ შემთხვევებისთვის, როდესაც შემსყიდველი პოსტ ფაქტუმ ვერ დაასაბუთებს  გადაუდებელ აუცილებლობას;
- იმ შემთხვევაში, როდესაც საქონლის, მომსახურების, სამუშაოს მიმწოდებელი სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კომპანიაა, აუცილებელია დასაბუთება მოიცავდეს იმის ახსნას თუ რატომ იქნა შერჩეული სახელმწიფო და არა კერძო კომპანია, რასაც ახალი რეგულაცია არ ითვალისწინებს.

# 2. ახალი ტიპის ორეტაპინი ელექტრონული ტენდერები

2016 წლის ივლისიდან ამოქმედდა  ერთეტაპიანი ელექტრონული ტენდერები ვაჭრობის გარეშე, სადაც პრეტენდენტების რანჟირება მხოლოდ ფასით ხდება. 2016 წლის აგვისტოდან კი ამოქმედდა თვისებრივად ახალი ტიპის ორეტაპიანი  ელექტრონული ტენდერები ვაჭრობის გარეშე, სადაც პრეტენდენტების რანჟირება  სხვადასხვა თვლადი კრიტერიუმებით, ფასის და ხარისხის საუკეთესო შეფარდებაზე დაყრდნობით ხდება. ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერების ორი ძირითადი სიახლეა ის, რომ:

- მიმწოდებლების მიერ სატენდერო წინადადებების ფასის წარდგენა ვაჭრობის რაუნდების გარეშე ხდება;

- პრეტენდენტის ვინაობა და ფასი შერჩევა-შეფასების ეტაპზე (დროებით) დამალულია.

ამასთანავე, ძალაში დარჩა ერთეტაპიანი ელექტრონული ტენდერები, სადაც ვაჭრობა ისევ ხდება და რაც შესყიდვის გარკვეულ შემთხვევებში უფრო ეფექტური ფორმაა, ვიდრე  ერთეტაპიანი ან ორეტაპიანი  ელექტრონული ტენდერები ვაჭრობის გარეშე.

მაშასადამე, დღეს შემსყიდველებს რამდენიმე სხვადასხვა ტიპის ტენდერის გამოყენება შეუძლიათ. შემსყიდველი თავად ირჩევს რა სახის ტენდერით შეიძინოს საქონლის / მომსახურების / სამუშაო. მაგალითად, არსებობს მომსახურებები, სადაც ფასის დაწევა სწორედ ვაჭრობის და არა ძირითადი დროის მანძილზე ხდება. ასეთ შემთხვევებში ცხადია, არაგონივრული იქნება, აუქციონზე, ანუ ვაჭრობაზე უარის თქმა და ტენდერის ახალი აუქციონი სახეობების გამოყენება. თუმცა არსებობს შემთხვევები (სამშენებლო სამუშაოები), როცა ძირითადი დროის მანძილზე ხდება სახსრების დაახლოებით ¾ -ის დაზოგვა, ხოლო ვაჭრობის დროს დაახლოებით ¼-ის.

ვაჭრობის გარეშე ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერის შემოღებამდე არსებული წესი არ იძლეოდა, მაგალითად, შეძენილი საქონლით ან მომსახურებით სარგებლობის პროცესში ხარჯების მინიმიზების საშულებას, კერძოდ ეს წესი ათასობით შემსყიდველს არ აძლევდა საშუალებას, შეეძინა უფრო ძვირი, მაგრამ ექსპლუატაციის დროს უფრო დაბალდანახარჯიანი საქონელი ან ძვირი, მაგრამ გეოგრაფიულად უფრო ახლომდებარე მომსახურების ობიექტის მომსახურება. ამასთან, ფორმულის ხარისხის კომპონენტები (პრიორიტეტის, ხარისხის მაქსიმალური ქულის და მიღებული ხარისხის) რეალობაში ვერ განსაზღვრავდნენ ხარისხს. სატენდერო წინადადების შეფასება ხდებოდა სატენდერო კომისიის თითოეული წევრის მიერ ცალ-ცალკე, შესაბამისი ქულის მინიჭებით, სადაც ასევე იყო დისკრეციული თავისუფლების და, შესაბამისად, სუბიექტურობის პრობლემა.

ვინაიდან შემსყიდველი თავად ირჩევს რა სახის ტენდერით შეიძინოს საქონელი / მომსახურება / სამუშაო, ძალიან მნიშვნელოვანია, შემსყიდველები დაფიქრდნენ იმაზე ვაჭრობით ჯობს დაზოგონ თანხის ეს ¼ თუ ჩაატარონ ტენდერი აუქციონით, თუ არ დაზოგონ ეს ¼ და ჩაატარონ ტენდერი აუქციონის გარეშე, რომ თავიდან აიცილონ ისეთი რისკები, როგორიცაა, მაგალითად **1.** იაფი, მაგრამ ექსპლუატაციის დროს უფრო მაღალდანახარჯიანი საქონლის, ან იაფი, მაგრამ გეოგრაფიულად მოშორებული მომსახურების შეძენა **2.** არარეალურად დაბალი ფასით ტენდერის მოგება.

თუ ამ რისკების დადგომით გაზრდილი დანახარჯები მნიშვნელოვნად გადააჭარბებს სატენდერო ღირებულების იმ ¼-ს, რისი დაზოგვაც ვაჭრობით შეიძლება, ცხადია, ერთეტაპიანი ან ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერები ვაჭრობის გარეშე უკეთესი ალტერნატივაა.

გარდა ამისა, აუქციონის გარეშე ტენდერებს აქვს პოტენციალი მინიმუმამდე დაიყვანოს შემსყიდველსა და მომწოდებელს შორის გარიგების რისკები. ერთეტაპიანი აუქციონიანი ტენდერის ფარგლებში ყველა ხედავს, მიმწოდებელმა რა დოკუმენტაცია წარადგინა, რა ფასი დაადო თავის შეთავაზებას და ა.შ. დღეს უაუქციონო ტენდერებში მთელი ეს ინფორმაცია დაიხურა შემსყიდველისთვისაც და მიმწოდებლისთვისაც. თავად შესყიდვების სააგენტოსაც არ ექნება აღნიშნულ ინფორმაციაზე წვდომა. ვაჭრობის პროცესში ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ საჯარო რეესტრის სააგენტოს, ვინც სისტემის ტექნიკურ მომსახურებას უწევს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს და სააგენტოს იმ ორი თანამშრომლისთვის, ვინც საჯარო რეესტრშია მიმაგრებული. ტენდერის დასრულებისთანავე კი ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება ყველასთვის, რაც ყველა მონაწილეს ტენდერის შეფასების შესაძლებლობას მისცემს. სისტემა ავტომატურად, მხოლოდ ყველაზე დაბალი ფასის პრეტენდენტს გაუხსნის შემსყიდველს. ის შეაფასებს წინადადებას და თუ ის დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, ამ მიმწოდებელთან შესყიდვის პროცედურას დაიწყებს. თუ პირველი პრეტენდენტის წინადადება არ იქნება დამაკმაყოფილებელი, მაშინ სისტემა ავტომატურად გახსნის მეორე, ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის წინადადებას და ა.შ. ეს მოტივაციას მისცემს მიმწოდებლებს, შემსყიდველს რეალური და იმავდროულად მათთვის ხელსაყრელი ფასი შესთავაზონ და ერთმანეთთან არაგონივრულ კონკურენციაში არ ჩაერთონ.

## 2.1. რეკომენდაციები

**ინფორმაციული უსაფრთხოება**

ტენდერების დახურვის შემდეგ დღის წესრიგში კიდევ უფრო მეტი სიმწვავით დგება ინფორმაციის გაჟონვის რისკების პრევენციის პრობლემა, კერძოდ ინფორმაციის დაცვა არაავტორიზებული წვდომისა და არაავტორიზებული ცვლილებისაგან. აღნიშნული რისკების პრევენციისთვის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ აუცილებელია დანერგოს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა, კერძოდ:

- შეასრულოს ინფორმაციული უსაფრთხოების კანონით, მთავრობის შესაბამისი დადგენილებით და მონაცემთა გაცვლის სააგენტოს შესაბამისი ბრძანებით გათვალისწინებული ინფორმაციული უსაფრთხოების მოთხოვნები

- დანერგოს ინციდენტების მართვის სისტემა (არა მხოლოდ ინციდენტების რეესტრი), რაც მოიცავს ინციდენტებზე 24 საათიან დაკვირვებას. ამგვარი სისტემა მენეჯმენტს საშუალებას მისცემს, რეგულარულად ადევნოს თვალი სისტემაში წარმოშობილ ინციდენტებს, დააკვალიფიციროს და გაანალიზოს ეს ინციდენტები და საჯარო რეესტრთან ერთად მოახდინოს შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის დაცვის მექანიზმების შესაბამისი კორექტირება

- როგორც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის ეფექტიანობის აუდიტის 2016 წლის ანგარიშშია აღნიშნული, სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სერვისის მდგრადი, უწყვეტი და სანდო ფუნქციონირებისათვის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ აუცილებელია შეიმუშაოს საჯარო რეესტრისგან დამოუკიდებელი ბიზნეს პროცესის უწყვეტობის გეგმა (BCP), რაც მოიცავს კატასტროფიდან აღდგენის გეგმასა და სერვისის აღდგენის დროის სამიზნე მაჩვენებლებს.

**ელექტრონული ტენდერის ტიპის არჩევა**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტენდერის ტიპის არჩევა შემსყიდველის პასუხისმგებლობაა, რაც პრინციპულად სწორი მიდგომაა. თუმცა, ვინაიდან ქვეყანაში დაახლოებით 4,500 შემსყიდველია და მათ აბსოლუტურ უმრავლესობას არ აქვს ინფორმაცია თუ რა შემთხვევაში რა თანხა იზოგება, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს როლი მათ ინფორმირებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აუცილებელია:

- ახდენდეს ყველაზე ხშირად გამოყენებული CPV კოდების ანალიზს იმის გასარკვევად, თუ ტენდერის რომელიმე ტიპი იძლევა ამა თუ იმ საქონლის/მომსახურების/სამუშაოს შემთხვევაში თანხების დაზოგვის საშუალებას

- ახდენდეს ერთეტაპიანი ვაჭრობის რაუნდებიანი (აუქციონიანი) ტენდერით და აუქციონის გარეშე ერთეტაპიანი და ორეტაპიანი ტენდერებით შეძენილი ერთი და იმავე CPV კოდების (საქონლის/მომსახურების/სამუშაო) საწყისი ფასის და შემდგომი დანახარჯების (ექსპლუატაციის დანახარჯები) შესწავლას და როგორც ანალიზის შედეგები, ისე შესაბამისი სარეკომენდაციო მითითებები შესთავაზოს შემსყიდველებს.

- დააკვირდეს ერთეტაპიანი აუქციონიანი ტენდერის შემთხვევაში თანხის რა ნაწილი იზოგება ძირითად დროში და რა ნაწილი იზოგება ვაჭრობის დროს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთეტაპიანი ელექტრონული ტენდერები, სადაც ვაჭრობა ისევ ხდება, შესყიდვის გარკვეულ შემთხვევებში უფრო ეფექტური ფორმაა, ვიდრე ერთეტაპიანი ან ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერებით ვაჭრობის გარეშე.

**ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერების რეალურად გაორეტაპიანება**

აუცილებელია სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შეთანხმების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გზამკვლევის ვალდებულებით გათვალისწინებული იმ საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების დაჩქარება, რაც უზრუნველყოფს 2016 წლის 1 აგვისტოდან ამოქმედებული ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერების რეალურად გაორეტაპიანებას, რაც, როგორც ევროკავშირის გამოცდილება აჩვენებს სატენდერო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის ძალიან ეფექტური ინსტრუმენტია.

# 3. გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გაუქმება

2017 წლის 6 აპრილს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა რიგი ცვლილებებისა სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობაში.[5] ერთ-ერთი ძირითადი ცვლილება ის იყო, რომ გაუქმდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ინსტიტუტი, რომელიც ჩვეულებრივი ელექტრონული ტენდერისგან იმით განსხვავდებოდა, რომ იგი უფრო შემჭიდროვებულ ვადებსა და გამარტივებული პროცედურებით ტარდებოდა. ვინაიდან გამარტივებული ტენდერის გამოცხადების დროს არაგონივრულად მცირე ვადებში ხდებოდა ყველა პროცედურის ჩატარება, შესაბამისად, ბევრ პოტენციურ მიმწოდებელს მასში მონაწილეობის შესაძლებლობა მნიშვნელოვნად უმცირებდა. აქედან გამომდინარე, ეს ცვლილება მისასალმებელია.

5 https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/148248

# IV. გამარტივებული შესყიდვები

გამარტივებული შესყიდვა სახელმწიფო შესყიდვის ერთ-ერთი ფორმაა, რომელსაც საჯარო დაწესებულება 5 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის შემთხვევაში მიმართავს, ან მაშინ, როდესაც რაიმე საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს მიწოდება მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიური უფლებაა. სხვა გამონაკლისებს, როდესაც გამარტივებული შესყიდვა გამოიყენება, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი განმარტავს. გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში შემსყიდველი ხელშეკრულებას მისთვის სასურველ ნებისმიერ მიმწოდებელთან დებს.

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვებისას არსებობს არაეკონომიური ხარჯვის მაღალი რისკი, რადგან ამ შემთხვევაში არ არსებობს ფასის დაწევის შესაძლებლობა, რასაც, ტენდერის გამოცხადებისას, კონკურენტი კომპანიის მონაწილეობა უზრუნველყოფს. ამასთანავე, კონტრაქტების გაფორმება გამჭვირვალე ელექტრონული შესყიდვების სისტემის გვერდის ავლით ზრდის კორუფციის რისკებს, რადგანაც, ხელშეკრულებები შესაძლოა ხელისუფლებასთან დაკავშირებულ კომპანიებთან დაიდოს.

ამ თავში მიმოხილული და გაანალიზებულია საყურადღებო ტენდენციები, რომლებიც გამოვლინდა გამარტივებულ შესყიდვებში 2015 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

2015-2017 წლებში გამარტივებული გზით დადებული ხელშეკრულებების ღირებულებამ საერთო ჯამში 2.86 მილიარდი ლარი შეადგინა.[6] შედარებისთვის, ამავე პერიოდში ტენდერების გზით 6.1 მილიარდი ლარის ღირებულების ხელშეკრულებები დაიდო (იხილეთ დიაგრამა #1).




6 2017 წლის მონაცემები შესაძლოა არასრული იყოს, ვინაიდან რიგ შემთხვევებში შემსყიდვლები გამარტივებული გზით დადებულ კონტრაქტებს სისტემაში შესაძლოა გვიან ტვირთავდნენ

2015 წელს გამოცემულ ჩვენს ანგარიშში ვწერდით, რომ გამარტივებული მთლიან შესყიდვებში გამარტივებული შესყიდვების წილი წლიდან წლამდე იკლებდა და 2014 წელს 32.2%-მდე ჩამოვიდა.[7] 2015-16 წლებში ეს მაჩვეენებლი კვლავ გაიზარდა და, შესაბამისად, 33.7 და 37%-ს მიაღწია (იხილეთ დიაგრამა #2), სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს განმარტებით, 2016 წელს სახელმწიფო შესყიდვებში გამარტივებული შესყიდვების წილის ზრდა სხვა ფაქტორებთან ერთად განაპირობა სულ მცირე ოთხი მსხვილი პროექტის (თბოენერგეტიკის, რკინიგზის და ტურიზმის დარგებში) განხორციელებამ. თუმცა, ამ პროექტების განხორციელება ტენდერების საშუალებით რატომ არ აიყო შესაძლებელი, გაუგებარია.




7 *სახელმწიფო შესყიდვები 2013-2014 წლებში: როგორ და რაში იხარჯება ბიუჯეტი*, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 2015 წლის ივლისი: https://goo.gl/CKHcYE

# 1. ყველაზე მსხვილი შემსყიდველი ორგანიზაციები

2015-2017 წლებში გამარტივებული შესყიდვების წესით ყველაზე დიდი 10 შემსყიდველის მიერ დადებული ხელშეკრულებების ჯამურმა ოდენობამ 1,38 მილიარდი ლარი შეადგინა. ყველაზე მსხვილი შემსყიდველები შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“, „ჯორჯიან ტრანზიტი“ და თბილისის მერიაა (იხილეთ დიაგრამები #3).



# 2. ყველაზე მსხვილი მიმწოდებლები

2015-2017 წლებში გამარტივებული შესყიდვებში 10 ყველაზე მსხვილი მიმწოდებლის მიერ დადებული ხელშეკრულებების ჯამურმა ოდენობამ 1,104,589,384 ლარი შეადგინა. ყველაზე მსხვილი მიმწოდებელი „China Tianchen Engineering Corpoeration“-ია, რომელსაც მხოლოდ ერთი 376 მლნ ლარის ღირებულების ხელშეკრულება აქვს „გარდაბნის თბოსადგურ 2“-თან გაფორმებული (იხილეთ დიაგრამა #4).



# 3. სსიპ-ების მონაწილეობა გამარტივებულ შესყიდვებში

2015-17 წლებში შემსყიდველმა ორგანიზაციებმა გამარტივებული გზით ხელშეკრულებები დადეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთანაც (სსიპ). სულ ასეთი 6,772 ხელშეკრულება დაიდო, რომელთა საერთო ღირებულებამ 93.6 მლნ ლარი შეადგინა. სსიპ-ებს შორის ყველაზე მსხვილი მიმწოდებელი დაახლოებით 80 მლნ ლარით *დაცვის პოლიციის დეპარტამენტი* იყო (იხილეთ დიაგრამა #5).



რაც შეეხება შესყიდვის კატეგორიებს, სსიპ-ებთან დადებული ყველაზე მსხვილი ხელშეკრულებები გამოძიებასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ მომსახურებებზე მოდის (იხილეთ დიაგრამა #6).



# 4. სახელმწიფო საწარმოების მონაწილეობა გამარტივებულ შესყიდვებში

2015-2017 წლებში 43 სახელმწიფო საწარმოსთან[8] გამარტივებული გზით 57 მლნ ლარის ღირებულების 3,949 ხელშეკრულება დაიდო.

როგორც წესი, სახელმწიფოს მფლობელობაში არსებულ კომპანიებთან გამარტივებული შესყიდვის კონტრაქტების გაფორმება კერძო სექტორს არაკონკურენტულ გარემოში აყენებს. სახელმწიფო საწარმოებიდან ყველაზე მსხვილი შესყიდვის კონტრაქტები სს „ელმავალმშენებელმა" მიიღო (იხილეთ დიაგრამა #7).




8 საწარმო, რომლის 50%-ზე მეტი წილის მფლობელი არის სახელმწიფო

სახელმწიფო საწარმოებთან ხელშეკრულების დამდები ყველაზე მსხვილი შემსყიდველები *სოციალური მომსახურების სააგენტო* და *საქართველოს რკინიგზა* არიან (იხილეთ დიაგრამა #8).



სახელმწიფო საწარმოებთან გამარტივებული გზით დადებულ ხელშეკრულებებში ყველაზე მსხვილი შესყიდვის კატეგორია კი ჯანდაცვის სფეროს მომსახურებაა (იხილეთ დიაგრამა #9).




* კონტრაქტების ნახევარი საკუთარ მფლობელობაში მყოფ ახლადდაფუძნებულ კომპანიებთან გააფორმა

# 5. ახლადდაფუძნებული კომპანიების მონაწილეობა გამარტივებულ შესყიდვებში

2015-2017 წლებში გამოვლინდა არაერთი ისეთი შემთხვევა, როდესაც გამარტივებული გზით ხელშეკრულებები გაფორმდა ახალ დაფუძნებულ კომპანიებთან[9]. კერძოდ, საკვლევ პერიოდში ახალ დაფუძნებულ კომპანიებთან 95 მლნ ლარის ღირებულების 25 625 ხელშეკრულება დაიდო. მათ შორის, ვხვდებით ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ხელშეკრულების ღირებულება მილიონ ლარს აღემატება.

ყველაზე მსხვილი ახლადდაფუძნებული მიმწოდებლები და მათთან გამარტივებული გზით ხელშეკრულების დამდები ყველაზე მსხვილი შემსყიდველები იხილეთ ცხრილებში #1 და #2.ს

**ცხრილი #1 ახლადდაფუძნებული კომპანიების მონაწილეობა გამარტივებულ სახელმწიფო შესყიდვებში (2015-17 წწ.)**

| ახლადდაფუძნებული კომპანია | ხელშეკრულების ღირებულება | ხელშეკრულების რაოდენობა |
|---|---|---|
| შპს ენკო | 2 171 457 | 6 |
| შპს გრატო ლაით | 1 720 786 | 1 |
| შპს ბეიქერი | 1 621 773 | 6 |
| შპს უნივერსალი | 1 519 207 | 4 |
| შპს ჯი-სერვისი | 1 024 119 | 5 |
| შპს ჯეო-ტრანსავტო | 934 625 | 7 |
| შპს კოშკი | 903 706 | 6 |
| შპს არქიტექსი | 719 991 | 2 |
| შპს სქაივინგს | 686 306 | 13 |

9 კვლევის მიზნებისთვის ახალ დაფუძნებულ კომპანიაში მოიაზრება ისეთი კომპანიები, რომელთა დაფუძნებიდან ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის 1 წელზე ნაკლები დრო იყო გასული

**ცხრილი #2 ახლადდაფუძნებული კომპანიებთან ყველა მსხვილი კონტრაქტების დამდები შემსყიდველი ორგანიზაციები (2015-17 წწ.)**

| შემსყიდველი | ჯამური ღირებულება | ხელშ. ჯამური რაოდენობა | ახ. დაფუძნ. დადებული ხელშ. ღირებულება | ახ. დაფუძნ. დადებული ხელშ. რაოდენობა | ღირებულების პროცენტი | რაოდენობის პროცენტი |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს თავდაცვის სამინისტრო[1] | 62,364,180 | 508 | 33459551 | 33 | 53.65 | 6.50 |
| 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტი | 58,408,296 | 1,083 | 3399145 | 76 | 5.82 | 7.02 |
| ქ. თბილისის მერია | 144,717,669 | 1,102 | 2888006 | 54 | 2.00 | 4.90 |
| სოციალური მომსახურების სააგენტო | 136,797,602 | 14,382 | 2698446 | 147 | 1.97 | 1.02 |
| საქართველოს სასჯელ-აღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 22,120,690 | 1,454 | 2094504 | 21 | 9.47 | 1.44 |
| ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 8,486,824 | 546 | 1914006 | 29 | 22.55 | 5.31 |
| შპს სინათლის ქალაქი | 2,370,801 | 260 | 1864595 | 21 | 78.65 | 8.08 |
| მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 3,880,299 | 453 | 1389906 | 95 | 35.82 | 20.97 |
| საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო | 5,894,297 | 1,342 | 851615 | 48 | 14.45 | 3.58 |
| გარდაბნის მუნიციპალიტეტი | 11,424,674 | 634 | 759734.41 | 37 | 6.65 | 5.84 |
| დუშეთის მუნიციპალიტეტი | 4,906,628 | 1,013 | 735522.92 | 151 | 14.99 | 14.91 |
| ს.ს. აკურა | 14,135,656 | 752 | 727821.32 | 41 | 5.15 | 5.45 |
| შპს დელტა ინტერნეიშენალ | 2,000,062 | 601 | 713714.8729 | 55 | 35.68 | 9.15 |
| ქარელის მუნიციპალიტეტი | 2,039,043 | 283 | 674533.37 | 24 | 33.08 | 8.48 |
| ზუგდიდის მუნიციპალიტეტი | 4,335,666 | 537 | 623472.04 | 70 | 14.38 | 13.04 |

განსაკუთრებით საინტერესოა გამარტივებულ შესყიდვებში ისეთი შემთხვევები, როცა ხელშეკრულების გაფორმება წინ უსწრებს კომპანიის რეგისტრაციის თარიღს ან როდესაც კომპანია ხელშეკრულების გაფორმებამდე რამდენიმე დღით ადრეა დაფუძნებული. საერთო ჯამში ასეთი ხელშეკრულებების ღირებულება 345 ათასი ლარი იყო.

ცხრილში #3 წარმოდგენილია ახალ დაფუძნებულ კომპანიებთან გამარტივებული გზით დადებული 100 000 ლარზე მეტი ღირებულების ისეთი ხელშეკრულებები, რომლებშიც ხელშეკრულების დადების თარიღთან კომპანიის რეგისტრაციის დრო ყველაზე ახლოს დგას.

**ცხრილი #3 გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებები ახლადდაარსებულ კომპანიებთან (2015-17 წწ.)**

| ხელშეკრულების ღირებულება | შემსყიდველი | მიმწოდებელი | კონტრაქტის გაფორმებისა და კომპანიის დაარსების თარიღებს შორის სხვაობა (დღე) |
|---|---|---|---|
| 311,850 | ქ. თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორია | შპს აჰკ ჯორჯია | 0.00 |
| 195,209 | შპს დელტა ინტერნეიშენალ | შპს სქაივინგს | 11.00 |
| 165,604 | შპს დელტა ინტერნეიშენალ | შპს სქაივინგს | 11.00 |
| 114,999 | ასპინძის მუნიციპალიტეტი | შპს ქილდა 2015 | 12.00 |
| 597,789 | 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტი | შპს ჯი-ემ-სი | 13.00 |
| 177,271 | მეწარმეობის განვითარების სააგენტო | შპს პრემიუმ ღონისძიებები | 58.00 |
| 105,818 | საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო | შპს სქილაპ | 64.00 |
| 111,621 | ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი | შპს გიენოსი | 66.00 |
| 168,000 | სოციალური მომსახურების სააგენტო | შპს ივანე ბოკერიას სახ. თბ. რეფერალური ჰოსპიტალი | 67.00 |
| 1,387,717 | ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა | შპს უნივერსალი | 76.00 |
| 211,423 | ღვინის ეროვნული სააგენტო | შპს სომელიე საქართველო | 84.00 |
| 130,000 | აჭარის ა.რ. მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი | შპს კუსა | 97.00 |
| 119,743 | საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო | შპს სქილაპ | 97.00 |

# 6. პოლიტიკური პარტიების შემომწირველთა მონაწილეობა გამარტივებულ სახელმწიფო შესყიდვებში

2015-2017 წლებში გამარტივებულ შესყიდვებში მიმწოდებელი 150-მდე კომპანიასთან დაკავშირებულმა 140-მდე პირმა (ყოფილი ან მოქმედი მეწილე და დირექტორი) მმართველ პარტიას 6 მლნ ლარამდე შესწირა. მათი კომპანიების მიერ საკვლევ პერიოდში მიღებული ხელშეკრულებების რაოდენობა 11 ათასს აღემატება და საერთო ღირებულება დაახლოებით 75 მლნ ლარს შეადგენს (იხილეთ ცხრილი #4).

**ცხრილი #4 პარტიების შემომწირველთა მონაწილეობა გამარტივებულ სახელმწიფო შესყიდვებში (2015-17 წწ.)**

| შემომწირველი /დაკავშირებული კომპანია | შეწირული თანხა | ხელშეკრულების ღირებულება | ხელშეკრულების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| **ზაური ცხადაძე** | **120000** | | |
| თეგეტა მოტორსი | 120000 | 33,637,496 | 861 |
| **ამირან ადეიშვილი** | **110000** | | |
| შპს პოლიმერი 1 | | 701,077 | 9 |
| **გოჩა ენუქიძე** | **105000** | | |
| შპს იბერკომპანი | | 118,000 | 1 |
| **რაფიელ სურამელაშვილი** | **105000** | | |
| შპს NOVA GROUP | | 285,888 | 2 |
| **ნატალია შარაშიძე** | **100000** | | |
| შპს ბალავარი | | 42,000 | 1 |
| **სიმონი გეგელაშვილი** | **95000** | | |
| ავიასაწვავსერვისი | | 428,320 | 3 |
| **დავით კიღურაძე** | **91000** | | |
| შპს კლიმატი | | 15,998 | 1 |
| **ირაკლი ქაფიანიძე** | **90000** | | |
| შპს ფროფერთი მენეჯმენტ | | 10,720 | 1 |
| **თორნიკე ჩხეიძე** | **80000** | | |
| რაპიდ ინჯინიირინგ & კონსტრაკშენ | | 3,440,810 | 7 |
| **გიორგი ჩრდილელი** | **70000** | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| შპს ჯი სი ჯი | | 7,434 | 1 |
| **ივანე მაღლაკელიძე** | **60000** | | |
| შპს ელექტრონი | | 257,785 | 1 |
| **დავით ჯაში** | **60000** | | |
| შპს “ბეთერ ფლაი” | | 1,268,317 | 20 |
| შპს დი დი ბი ჯორჯია | | 271,240 | 2 |
| **დავით კვერნაძე** | **60000** | | |
| შპს ჯეო ედს | | 51,330 | 1 |
| **ლაშა კვაჭაძე** | **60000** | | |
| სოს_ასისტანსი | | 15,000 | 1 |
| **ილია ჩხიკვიშვილი** | **60000** | | |
| არქიკულტურა | | 6,640,497 | 18 |
| **ავთანდილ გაბდელიანი** | **60000** | | |
| შპს ელექტრონი | | 257,785 | 1 |
| **ლევან რეხვიაშვილი** | **60000** | | |
| შპს ჯორჯიან სერვის ნეთვორკი | | 14,820 | 3 |
| **გიორგი მანაგაძე** | **60000** | | |
| ს.ს ალ. წულუკიძის სახ. უროლოგიის ეროვნული ცენტრი | | 80,430 | 1 |
| “დიამედი” | | 90,470 | 1 |
| **ირაკლი კერვალიშვილი** | **60000** | | |
| შპს ცოტნე | | 93,075 | 2 |
| **დავით ბაინდურაშვილი** | **60000** | | |
| შპს ბალავარი | | 42,000 | 1 |
| **ალექსანდრე ხარებავა** | **60000** | | |
| შპს მეღვინეობა ხარება | | 322,500 | 2 |
| **ავთანდილ მაღრაძე** | **60000** | | |
| შპს FRANCE-PLAST | | 286,912 | 9 |

| | | | |
|---|---|---|---|
| **ალექსანდრე ხეთერელი** | **60000** | | |
| შპს ეი-ბი ემ | | 1,571,801 | 24 |
| **დავით ტაბატაძე** | **60000** | | |
| შპს ელექტრონი | | 257,785 | 1 |
| **ოთარი კიკალიშვილი** | **60000** | | |
| დიკა | | 600,268 | 16 |
| **ალექსანდრე ივანიშვილი** | **60000** | | |
| შპს ტორნადო + | | 24,000 | 1 |
| **გიორგი გაბუნია** | **59000** | | |
| შპს Construction Service | | 973,086 | 5 |
| **დავით შენგელია** | **55000** | | |
| შპს  კასა ჯი | | 8,410 | 8 |
| **გრიგოლ მიქელაძე** | **55000** | | |
| შპს ისნის სავაჭრო ცენტრი | | 15,349 | 1 |
| **ლევან აროშიძე** | **53000** | | |
| ბორან სოფქიმია | | 393,325 | 9 |
| **კახაბერ კაპანაძე** | **52000** | | |
| შპს ელკო | | 1,625,055 | 7 |
| **გიორგი კილაძე** | **50000** | | |
| შპს ვარზია | | 926,500 | 5 |
| **ნიკოლოზ ხმალაძე** | **50000** | | |
| შპს ენერგო უზრუნველყოფის სისტემები | | 14,331 | 2 |
| შპს ელექტრონი | | 257,785 | 1 |
| **ნიკოლოზ ნებულიშვილი** | **50000** | | |
| შპს პოლიკორპ | | 2,400 | 2 |
| **გიორგი შენგელია** | **50000** | | |
| შპს  კასა ჯი | | 8,410 | 8 |
| **ალექსი მორჩილაძე** | **50000** | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| შპს აი-სი-ი-ეს ICES | | 691,811 | 2 |
| შპს კლიმატი | | 15,998 | 1 |
| **ზურაბ გაბინაშვილი** | **50000** | | |
| ახალი ნათება | | 126,539 | 2 |
| **გიორგი ცინცაძე** | **50000** | | |
| ფოტოპლაზა+ | | 112,610 | 8 |
| **ზვიად თოიძე** | **50000** | | |
| ინ-სი | | 6,190,062 | 3 |
| **ნუგზარ ხუციშვილი** | **50000** | | |
| შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია | | 33,100 | 2 |
| **არჩილ ლოლაძე** | **50000** | | |
| არილი | | 12,662,645 | 12 |
| **ალექსანდრე სულაბერიძე** | **48000** | | |
| შპს კომპანია ალბატროსი | | 262,904 | 3 |
| **დავით ძებნიაური** | **40000** | | |
| შპს ბალავარი | | 42,000 | 1 |
| **ივანე ნიკოლაიშვილი** | **40000** | | |
| ფუდსერვისი | | 546,475 | 1 |
| **გელა ძიძიკაშვილი** | **40000** | | |
| ჯბატ GBA | | 19,375 | 1 |
| **ვაჟა უსანეთაშვილი** | **38000** | | |
| შპს არსაკიძე-2000 | | 12,891,522 | 34 |
| **ლევან გოგსაძე** | **37950** | | |
| ჯი-თი გრუპ | | 18,810,578 | 38 |
| **გია ანდღულაძე** | **37000** | | |
| შპს არტპალასი | | 17,348 | 5 |
| **ბექა კიკალეიშვილი** | **30000** | | |
| შპს იბერკომპანი | | 118,000 | 1 |

| | | | |
|---|---|---|---|
